საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 135

2011 წ. "12" 08.

ქ. თბილისი

შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ ავტორიზაციის შესახებ

შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედის“ მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს - აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის საშუალო სკოლა „იმედს“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 212698259) მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების რაოდენობა განესაზღვროს 800-ით.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2011 წლის 12 აგვისტოს №15 სხდომის ოქმის მე-10 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

საბჭოს თავმჯდომარე
კახი ყურაშვილი

სხდომის მდივანი
ანა კლდიაშვილი